

ალგილორივი
თვითმმართვალობის
არჩევნები მონაცილე
კანდიდატი ქალაგი

თბილისი
30 მაისი, 2010 წელი

2010 წლის 26 მარტს ქალაგი შევიდა
პარონი გენდერული თანასწორობის შესახებ



„ამ ხანებში ამერიკის ქალაქში, რომელსაც ბოსტონი ჰქვიან, ქალაქის გამგეობის არჩევნები იყო, თუმცა როგორც აქ, ისე სხვაგანაც ამერიკაში, დედათა აქვთ უფლება არჩევანში მონაბილეობისა, მაგრამ დღეს - აქამომდე დედანი ამ უფლებას ბევრს არაფერს დასდევდნენ და არ ერეოდნენ არჩევანებში. ებლა-ყი, ამ ბოლოს არჩევანებში, თითქმის ყველანი მოსულან და დედათა კენჭის წყალობით დემოკრატები, რომელთაც აქამომდე ხელთ ეპურათ გამგეობა ქალაქისა, დამარცხებულან და რესპუბლიკულებს გაუმარჯვნიათ. 22 000 დედაქაცი ჩაწერილა, საარჩევანოდ მოსული. ამათ თავისი საკუთარი კომიტეტი ჰქონიათ „ასთა დედათა“. ამ „ასთა დედათა“ კომიტეტს ისე ხერხიანად წაეყვანია საქმე, რომ სწავლა - განათლების საბჭოში და ქალაქის გამგეობაში სულ თავისი მომხრე რესპუბლიკურები გამოურჩევიათ.“

საქართველო 120-ი ადგილზე
პოლიტიკური კალთა მონაცილეობის
მდგრადირებით.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით:

2006 წელი, 5 ოქტომბერი -

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები -

11,5 %

2010 წელი, 30 მაისი -

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - **? %**

2010 წელი, 26 მარტი -

ძალაში შევიდა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;

2010 წელი, 30 მაისი -

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში.

რას მოუტანს ეს დღე საქართველოს?

როგორი იქნება დემოკრატიის ერთ-ერთი მაჩვენებელი - გენდერული თანასწორობა?

რას ფიქრობენ ამის შესახებ კანდიდატი ქალები?

ამ კითხვებზე კანდიდატი რესპონდენტების პასუხები იხილეთ

ბუკლეტში. ვიმედოვნებთ, რომ მათი უმრავლესობა გაიმარჯვებს 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

წარმატებას ვუსურვებთ მათ!

კანდიდატი ქალები ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნები, თბილისი

1. ავალიშვილი ლილი

სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა
ნაციონალური პარტია

2. არაბული მანანა

(„თოფაძე-მრეწველები“)

3. ასათიანი ნატალია

(“თორთლაძე – დემოკრატიული პარტია”)

4. ასპურაგა მანანა

(“თორთლაძე – დემოკრატიული პარტია”)

5. ბარძიმაშვილი ლალი

(პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება”)

6. ბურდული მაია

(“თორთლაძე – დემოკრატიული პარტია”)

7. გაჩეჩილაძე გურანდა

(ივანიშვილი “სახალხო დემოკრატები”)

8. გოგიბაშვილი ნანა

(“ეროვნული საბჭო”)

9. გოგინაშვილი ირინე

(“გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან–
დემოკრატიული გაერთიანება”)

10. გოგინაშვილი მზია

(„თოფაძე-მრეწველები“)

11. გუგუშვაშვილი მარი

(პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება”)

12. დარსაველიძე თამარი

(პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება”)

13. დემურიშვილი თამთა
(“გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია –
ქრისტიან–დემოკრატიული გაერთიანება”)

14. დოლიაშვილი ნაზი
(პოლიტიკური მოძრაობა “სოლიდარობა”)

15. ქნუქიძე ლია
(პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება”)

16. ზუმბაძე გულო
(„ალიანსი საქართველოსთვის“)

17. თავარელია ლალი
(ივანიშვილი “სახალხო დემოკრატები”)

18. თევდორაძე ნინო
(“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”)

19. თურმანიძე გაღია
(„თოფაძე–მრეწველები“)

20. თურქაძე გაია
(„თოფაძე–მრეწველები“)

21. ივანიშვილი გაია
(ივანიშვილი “სახალხო დემოკრატები”)

22. კაპანაძე ცისანა
(პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება”)

23. კვანძაძე გაია
(„თორთლაძე – დემოკრატიული პარტია“)

24. კოლხიძე გვილი გარინი
(“თორთლაძე – დემოკრატიული პარტია”)

25. კუსიანი გაია
(“მომავლის პარტია”)

26. ლომია ეკა
(“ეროვნული საბჭო”)

- 27. ლომიძე მარინა**
(პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება”)
-
- 28. მაზიაშვილი ნინო**
(პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება”)
-
- 29. მათიაშვილი ნანა**
(“სრულიად საქართველოს რადიკალ–დემოკრატთა ნაციონალური პარტია”)
-
- 30. მაჭავარიანი ნათელა**
(„ალიანსი საქართველოსთვის“)
-
- 31. მერმანიშვილი ლია**
(იგანიშვილი “სახალხო დემოკრატიები”)
-
- 32. მჭედლიშვილი ლეილა**
(“თორთლაძე – დემოკრატიული პარტია”)
-
- 33. ნაპვეთაშვილი ნინო**
(“მომავლის პარტია”)
-
- 34. ნაჭყებია მანანა**
(„ალიანსი საქართველოსთვის“)
-
- 35. ნიშნიანიძე ნინო**
(პოლიტიკური მოძრაობა “სოლიდარობა”)
-
- 36. ნოღაია მანანა**
(“გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან–დემოკრატიული გაერთიანება”)
-
- 37. ნიკოლაიშვილი ლიანა**
(“ეროვნული საბჭო”)
-
- 38. ნუცხიძე ციცინო**
(„თოფაძე–მრეწველები“)
-
- 39. რევაზიშვილი ნატო**
(“სრულიად საქართველოს რადიკალ–დემოკრატთა ნაციონალური პარტია”)

40. როსტიაშვილი მაყვალა

(“სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია”)

41. სოხაძე მზია

(“ეროვნული საბჭო”)

42. ტატიშვილი მერი

(“გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება”)

43. ფერიაშვილი გულარა

(“ეროვნული საბჭო”)

44. ფილაური ნანა

(“მომავლის პარტია”)

45. ღავთაძე ნინო

(პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება”)

46. ჩიხრაძე ზიქრია

(„ალიანსი საქართველოსთვის“)

47. ტიპოლია ნანა

(“თორთლაძე – დემოკრატიული პარტია”)

48. ჭავაძეშვილი მაჩა

(ივანიშვილი “სახალხო დემოკრატები”)

49. ჭავაძესლი თამარ

(„თოფაძე–მრეწველები“)

50. ხელუარიანი ნათელა

(“მომავლის პარტია”)

51. ხიდაშვილი თინათინ

(„ალიანსი საქართველოსთვის“)

52. ხორბუანი სოფიო

(„ალიანსი საქართველოსთვის“)

53. ხუნდარია ლია

(“თორთლაძე – დემოკრატიული პარტია”)

ქართლის განვითარების შემდეგ შესაბამის:

- 1) როგორია თქვენი აზრი გენდერულ საკითხებთან
დაკავშირებით და რამდენად მნიშვნელოვნად
მიგაჩნიათ?**
- 2) საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ
იქნა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ.
როგორ შეუწყობთ ხელს კანონის იმპლემენტაციას?**

სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხერხდა
ზოგიერთ კანდიდატთან დაკავშირება.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი



Women's
Information
Center

მანანა არაბული

რომ გითხრათ გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ბევრი რამ ვიცი-თქო, არ იქნება სწორი. ამიერკავკასია ის რეგიონია, სადაც დღის წესრიგში დგას ქალთა პრობლემები და ამ პრობლემების მოგვარება საჭიროა დროულად. ჩვენს რეგიონში მცხოვრები ქალები განიცდილნენ ზეწოლას საზოგადოებაშიც, ოჯახშიც, და თანაც, არა მარტო ფსიქოლოგიურს. ქალის როლი არ იყო გამოკვეთილი საზოგადოებასა და განსაკუთრებით, ოჯახში. ეს პრობლემები იმდენად დაგროვდა, რომ გვერდს ვერ აუვლის ვერავინ. ჩვენი სახელმწიფო ახალგაზრდა სახელმწიფოა, რაღაც გამოგვდის, რაღაც არ გამოგვდის, მაგრამ როგორ უნდა ვთქვათ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს შვილები ვართ, როცა ამ საკითხზე ან არ ვმუშაობთ, ან არ ვაპირებთ არაფრის შეცვლას.



ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული ქალზე. დღეს ის დროა, რომ ქალი უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, თანაც არა მარტო ქართველი, არამედ, ზოგადად, საქართველოში მცხოვრები ყველა ქალი!

ნატალია ასათიანი

დადებითად ვუყურებ გენდერული თანასწორობის საკითხს, რადგან მი-მაჩინია, რომ ქალს ძალიან ბევრი საქმის კარგად შესრულება შეუძლია.

არ ვიცნობ კანონს და, სამწუხაროდ, კითხვაზე არ მაქვს პასუხი, ამ საკითხზე დაიფიქრება მჭირდება, მაგრამ მაინც ვეცდები მაქსიმალურად დავეხმარო და მხარში ამოვუდგი ყველა ქალს.

მანანა ასპურავა

ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის გენდერული საკითხები და, მე მგონი, ჩვენი ქვეყანა თანდათან წინ მიდის ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჩემი კოლეგების უმრავლესობა ქალია და ამ საკითხს ძალიან დადებითად ვუყურებ.

აუცილებლად შევუწყობდი ხელს გენდერული თანასწორობის კანონის განხორციელებას, მოვიზიდავდი ქალებს, რომლებიც პირდაპირ არიან და-კავშირებულნი საქმესთან და ვიფიქრებდი ჩემი ქვეყნის აღორძინებაზე, რა თქმა უნდა, ქალების ჩართულობით.

ლალი ბარძიმაშვილი



სალიან მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობა. ქალი ყოველთვის მონაწილეობდა ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან საქმეში და მათ დიდი როლიც შეასრულეს. საქართველოში უკვე დაწყებულია ამ საკითხებზე მუშაობა.

მე მინდა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი „საზოგადოებრივი დარბაზის“ სახით, სადაც დადგება ყველა ინიციატივა და პრობლემური საკითხი, მათ შორის, გენდერული საკითხებიც. ასევე, შესაძლებელია საჯარო ლექციების მოწყობა გენდერული თანასწორობის თემაზე.

მიმაჩნია, რომ რაინდობა სულის თვისებაა და არა სხეულის. მე მინახავს მამაკაცზე ბევრად ძლიერი ქალი. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ სადაც ქალი, იქ გადაწყვეტილებებს უფრო ფრთხილად იღებენ. ამიტომ აუცილებელია ქალის ჩართვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

www.ginsc.net

გურანდა გაჩერილაძე

შემიძლია ვთქვა, რომ მომხრე ვარ გენდერული თანასწორობის და მიმაჩნია, რომ ეს არის დემოკრატიული ქვეყნის სწორი არჩევანი.

აუცილებლად შევუწყობ ხელს კანონის იმპლიქტაციას, ვფიქრობ, რომ ქალიც და მამაკაციც თანასწორუფლებიანია ნებისმიერ საკითხში, პოლიტიკაში, ოჯახში. მე ვარ ქალი, რომელიც ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, ერთ დროს, გახლდით “მსხვერპლი”, მაგრამ, ამჟამად, გამოვავლინე ჩემი ქალური ძალა და სრულფასოვნად ავითვისე თანასწორობის შინაარსი. ამბობენ, რომ ქალი „სუსტი“ არსებაა. ჩვენ არანაირად არ ვართ „სუსტი“ არსებები და ვართ თანასწორნი ყველა საკითხში, რასაც სამართლებრივად, ადამიანურად და მორალურად ჭეშმარიტება ჰქვია!

ნანა გოგიძერიძე

გენდერული თანასწორობის საკითხი, ზოგადად, ჩვენს ქვეყნაში, სათანადო დონეზე არ არის დაყენებული, და თუ გადავხედავთ მომავალი არჩევნების კანდიდატების სიას, ნათლად ჩანს გენდერული ბალანსის არარსებობა. გენდერული თანასწორობის არსებობა მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დემოკრატიისათვის.

ყოველთვის შევუწყობ ხელს ქალთა უფლებების დაცვას, რადგან მიმაჩნია, რომ ქალი უფრო ფრთხილი და მობილიზებულია და შეუძლია მამაკაცზე ბევრად მეტი საქმის შესრულება.



www.ginsc.net

მზია გოგიძვილი

გენდერული თანასწორობის საკითხი განსაკუთრებით დღესაა მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით, პოლიტიკასთან მიმართებაში. ამ საკითხებზე ადრე რამდენიმე პუბლიკაციაც მქონდა მომზადებული, ვფიქრობ, რომ ეს საკითხი დღეს ჩვენს ქვეყნაში იმდენად აქტუალური არ არის, რამდენადაც უნდა იყოს.

გენდერული თანასწორობის კანონის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით ალბათ უფრო მეტად გვჭირდება დაფიქრება. სიმართლე გითხრათ ამ საკითხზე არ მიფიქრია, ჩემი საარჩევნო პროგრამა უფრო სხვას ითვალისწინებს, მაგრამ აუცილებლად გავითვალისწინებ ამ საკითხებს კანონის ფარგლებში. ყოველთვის შევეცდები დავიცვა ჩემი ამომრჩეველი ქალების უფლებები. ქალები აქტიურად მოდიან დღეს პოლიტიკაში, ეს კი იმის ნიშანია, რომ გენდერული საკითხები საქართველოში პასიური თვემა არ არის მედიისა და საზოგადოებისათვის.





თამარ დარსაველიძე

გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვანი როგორ არ არის, არის, და მე კი არა, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ყველაზე უნდა შეუწყოს ხელი გენდერული თანასწორობის კანონის განხორციელებას, რათა ქვეყანაში იყოს თანასწორობა და ერთნაირი პრივილეგიებით სარგებლობდეს ყველა.

ქალი ოჯახის მამოძრავებელი ღერძია. მან უკეთ იცის რა უჭირს ოჯახს, მეტად აქვს პრობლემების განჭვრეტის უნარი და უფრო მეტად მოაწესრიგებს და გადაწყვეტს ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებს. ქალის ჭკუა ყველგან საჭიროა, რადგან როგორც კარგი დიასახლი-სი ოჯახს, ისე კარგად მოაწყობს ქალი სახელმწიფოს.

www.ginsc.net



თამთა დემურიშვილი

ჩემი გადაწყვეტილება უკვე ნიშნავს იმას, რომ გენდერული თანასწორობის საკითხი ჩემთვის მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებაში უფრო მეტი ქალი უნდა იყოს, ვიდრე დღეს არის. ჩემს ქვეყანას დღეს ამის შესაძლებლობა და პოტენციალი აქვს.

აუცილებელია რაც შეიძლება მეტი ქალი იქნეს მოზიდული, როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო პოლიტიკაში, რადგან მიმაჩნია, რომ ძალიან ბევრი პრობლემის გადაჭრა ხელეწიფება ქალს, მამაკათან შედარებით. არსებობს მნიშვნელოვანი საკითხები, რომელსაც ქალი უფრო სხვანაირად უდგება. ამიტომ აუცილებელია მეტი ქალი იყოს პოლიტიკაში.

ლია ენუშიძე

ბუნებრივია, ქალი და მამაკაცი თანასწორია უკვე რამდენი საუკუნეა. როდესაც თამარი მეფედ აკუთხეს და მისი მეფობის ხანა ოქროს ხანად იწოდება, ამან დაამტკიცა, რომ ქალი არანაკლებია ვიდრე კაცი.

ბუნებრივია მე მხარს დავუჭერ ამ კანონის განხორციელებას. ქალს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე მამაკაცს. ქალს შეუძლია მონაწილეობა მიღლოს პოლიტიკურ დებატებსა და აქციებში. შეუძლია დადებითად გადაწყვიტოს პოლიტიკური საკითხები. მამაკაცი უფრო ხისტია თავისი მენტალობიდან გამომდინარე, ქალი უფრო მოწილი. ამიტომ ქალს უფრო მეტი როლის შესრულება შეუძლია როგორც პოლიტიკაში, ასევე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ლალი თაკვარელია

გენდერული თანასწორობის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი არ არის ჩემთვის. აუცილებლად უნდა იყოს ეს საკითხი წინ წამოწეული, მაგრამ ძალიან გამოკვეთილად არ ვთვლი საჭიროდ...

ნაწილობრივ შევუწყობ ხელს, თითქმის 80 %-ით, მაგრამ დანარჩენ 20%-ზე ღირს დაფიქრება, რამდენად გამომივა ამ კანონის ხელშეწყობა.

მაია თურქაძე

გენდერული თანასწორობის საკითხს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვნად მივიჩინევ. ქალი და მამაკაცი თანასწორუფლებიანი უნდა იყოს. ვინც გაიმარჯვებს, მე იმას დავუჭერ მხარს, მაგრამ კარგი იქნება, თუ ორივე თანაბრად იქნება წარმოდგენილი...

გამარჯვების შემთხვევაში, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, შევუწყობ ხელს კანონის განხორციელებას. თავად მეწარმე ვარ და ჩვენთან ქალიც და კაციც კარგად მუშაობს. ნამდვილად არ უნდა იყოს ისეთი სიტუაცია, რომ მხოლოდ მამაკაცები ლიდერობდნენ. საჭიროა ქალების რაოდენობამაც მოიმატოს.





მაია ივანიშვილი

გენდერული თანასწორობის თემა ძალიან მნიშვნელოვანია. პირველი, რომ ქალები არ უნდა იყვნენ დაჩაგრულები მამაკაცებთან შედარებით, და მეორეც, ქალს ძალიან ბევრი მოვალეობა აკისრია და მას აუცილებლად უნდა მიენიჭოს უპირატესობა, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში.

მამაკაცები არ უნდა ამბობდნენ იმას, რომ ქალს არ შეუძლია იმის გაკეთება, რასაც თავად აკეთებს. გარდა საზოგადოებრივი საქმიანობისა, ქალი შვილებს ზრდის, სიცოცხლეს სათავეს უდებს და ხშირად, მთლიანი ოჯახი მის კისერზეა. ქალები ახლა უფრო აქტიურები არიან, ამიტომ მე ყველანაირად შევუწყობ ხელს ამ კანონის განხორციელებას.

www.ginsc.net



ცისანა ქაპანაძე

მნიშვნელოვანია გენდერული საკითხები, რადგან უმცირესობაა თუ უმრავლესობა, ქალია თუ კაცი, ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები, ყველას უნდა შეეძლოს აზრის გამოხატვა თავისუფლად.

დღეს მგონი ქალები უფრო მეტად აქტიურობენ პოლიტიკაში, ვიდრე კაცები და ამის ერთ-ერთი მაგალითი თავად ვარ. ჩემს ახალგზარდობაში მამაკაცები უფრო სხვანაირები იყვნენ. ახლა თითქოს ქალები უფრო გაბედულები არიან, ეს იმანაც განაპირობა, რომ ქალებს მებრძოლი ხასიათი გვაქვს.

მაია კვანძშახაძე

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობა. ქალი პოლიტიკაში ძალიან ძლიერია და მიმართია, რომ ქალებს მამაკაცებზე მეტი საქმის გაკეთება შეგვიძლია.

შესაძლოა მცირე შანსი მაქს გამარჯვებისთვის, ისეთი მეტოქები მყავს, მაგრამ არ აქს მნიშვნელობა გავიმარჯვებ თუ არა, მე ყოველთვის მომხრე ვიქნები და შევუწყობ ხელს ამ კანონის განხორციელებას.



www.ginsc.net

მარინე კოლებიძაშვილი

გენდერული პრიობლემა ძალიან მწვავედ დგას საქართველოში. მცდარია აზრი იმის შესახებ, რომ გენდერი მხოლოდ ქალთა უფლებების დაცვაა. აქ თანასწორობაზეა საუბარი, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაზე. მათი აზროვნების, გონიერის, ჭკუის იდენტურობაზე. ამ სულიერ და მატერიალური სიდუხტჭირის ეპოქაში ქალმა საქართველოში ბევრი რამ იტვირთა. გარდა ოჯახის მოვლისა, მას ამ ოჯახის უზრუნველყოფაც დაევალა. მიმართია რომ გენდერული თანასწორობა შესძლებს მამაკაცს და უბრუნოს ადგილი ოჯახსა და საზოგადოებაში.



პოლიტიკაში გენდერული თანასწორობა ჩემი მთავარი პრიორიტეტია. ქალი პოლიტიკაში უფრო მეტად უნდა იყოს ჩართულია, ის ჯერ შედეგზე ფიქრობს, მერე დგამს ნაბიჯებს. ის კარგი შეურწყება და სშირ შემთხვევაში საუკეთესო ორგანიზატორიცაა. ამიტომ მთავრობაში და ხელისუფლებაში ქალთა რაოდენობის ზრდა ვფიქრობ, რომ ხელს შეუწყობს სახელმწიფოს უკეთ მართვას და წინსვლას.

ეკა ლომია

გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვანი საკითხია და ვთვლი, რომ საჭიროც არის ქალთა რაოდენობის მომატება, თუნდაც პოლიტიკაში. სი-მართლე გითხრათ, კანონს არ ვიცნობ. აქედან გამომდინარე, არ ვიცი რას ითვალისწინებს. გაცნობის შემთხვევაში, ალბათ, არ გამიჭირდებოდა ჩემი აზრის გამოხატვა.

ვფიქრობ, რომ ხელს შევუწყობ გენდერულ თანასწორობის კანონს, რად-გან ნამდვილად საინტერესო თემაა, ჩემს აზრსაც ამასთან დაგავშირებით ყოველთვის დავაფიქსირებ.

მარინა ლომია

გენდერული თანასწორობის კანონი მნიშვნელოვანია და მე ვფიქრობ, რომ ქალის როლმა თუ არ წამოიწია წინ, ქვეყანა კატასტროფას უახლოვ-დება.

მაქსიმალურად შევუწყობდი ხელს გენდერული თანასწორობის კანონის განხორციელებას. ქალთა პოლიტიკური აქტივობაც ზომიერი უნდა იყოს. არ ვთვლი, რომ მაინცდამაინც ქალი უნდა სჭარბობდეს, მაგრამ სულ რომ არ იყოს, ამასაც არ ვეთანხმები. ქალმა, როგორც მანდილოსანმა უნდა იკის-როს ის როლი, რა დატვირთვაც ყოველთვის ჰქონდა, როდესაც ყოველგვარ დაპიროსპირებისას ანეიტრალურდა სიტუაციას. მე ვფიქრობ, რადგან ქალი სიცოცხლის საწყისად მოიაზრება, ყველგან შეუძლია თავისი სიტყვა თქვას და თავისი წვლილი შეიტანოს. იქნება ეს მეცნიერება, კულტურა თუ სოცი-ალური საკითხები.

ნინო მაზიაშვილი

დღეს საქართველოში ქალთა პოლიტიკური აქტივობა ძალიან დაბალია. ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მამაკაცია. აუცილებელია რომ ქალი უფრო მეტად იყოს ჩართული ამ პროცესებში, რადგან ქალს უფრო მეტად შეუძლია კომპრომისზე წასვლა და უფრო ლიბერალია. მამაკაცები-საგან განსხვავებით ქალები უფრო ვერიდებით კონფლიქტებს და ყოველთ-ვის ვეძებთ მშვიდობიან გამოსავალს.

ნათელა გაჭავარიანი

გენდერული თანასწორობის საკითხი მნიშვნელოვანია ჩემთვის. ვატყობ, რომ ქალები პოლიტიკაში უფრო აქტიურები, ყოჩაღები და, რაც მთავარია, პრინციპულები არიან.

ჩემი ხნის ადამიანს რომ კიდევ აქვს ბრძოლის უნარი, ეს უკვე ბევრს ნიშნავს. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ქალები კიდევ უფრო ძლიერები ვიყოთ... მამაკაცებზე ნაკლები არაფრით არ ვართ...



მანანა ნაჟყებია

მე 4 წლის განმავლობაში გახლდით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს წევრი და ძალიან სერიოზულად ვიმუშავე იმაზე, რომ საქართველოში ცნება „გენდერი“ დამკვიდრებულიყო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიღებულ იქნა გენდერული თანასწორობის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. მიმართინა რომ აუცილებელია ქვეყანაში მიმღინარეობდეს ამ მიმართულებით მუშაობა, რადგან ეს არის თემა, რომელიც ჩვენ გვაქცევს ცივილიზებული სამყაროს ნაწილად.



მე ყველაფერს ვაკეთებ და პარტიისგანაც მაქვს მხარდაჭერა, რომ ქალები უფრო მეტად წარმოვაჩინოთ პოლიტიკაში. ამ თემის პოპულარიზაციისათვის თვითონ ფაქტი, რომ თვითმმართველობის არჩევნებში ქალები გავიმარჯვებთ, არის ყველაზე საუკეთესო გზა, რათა ქალები გამოვიყვანოთ ოჯახებიდან და აქტიურად ჩავრთოთ საზოგადოებრივ საქმიანობაში. მე ვფიქობ ყველაზე სწორი ნაბიჯია სადაც ნახავ პოტენციურ, იმედის მომცემ ქალს მოკიდო ხელი, ხელი შეუწყო მის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანას, მისცე განათლება და უნარ-ჩვევები, რომელიც საჭიროა პოლიტიკაში დამკვიდრებისათვის. მე ამას ისედაც ყოველთვის ვაკეთებდი და გამარჯვების შემთხვევაშიც გავაკეთებ.



მანანა ნოღია

რასაკვირველია, მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობა ჩემთვის და ძალიან აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვისაც. არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც საკმაოდ წარმატებულად მუშაობენ ამ კუთხით, მაგრამ მაინც უფრო მეტი მუშაობაა საჭირო.

ყველანაირად ვეცდები მხარი დავუჭირო ამ კანონის შესრულებას. რაც უფრო მეტი ქალი იქნება წამყვან თანამდებობაზე, და რაც უფრო მეტი ყურადრება მიექცევა ამ საკითხს, ქვეყნისთვისაც უკეთესი იქნება.



ლიანა ნიკოლაიშვილი

ქალისა და მამაკაცის უფლებები აუცილებლად თანასწორი უნდა იყოს. ჩვენ ვიცით აფორიზმი: “ლევკი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია”, ეს ჩვენი ტრადიციული ლირებულებებია, რომელზეც ჩვენი თაობები იზრდებოდა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელობა და აქტუალობა ამ საკითხს არ დაუკარგავს, რამდენადაც თანამედროვე ცხოვრება ახალ და ახალ პრობლემებს აყენებს ქალების წინაშე. და მართლაც, დღევანდელ პერიოდში ყველაზე მეტი პრობლემები აქვთ ქალებს. მე როგორც ქალი, ყოველთვის ყველა საკითხში დავუჭრ მათ მხარს.

მე გავეცანი კანონს. დიდი მადლობა პირველ რიგში ქალთა საინფორმაციო ცენტრს, რადგან მე არ ვიყავი ინფორმირებული ამ კანონის არსებობის შესახებ. ჩემი აზრით ამ კანონის შილება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაცია კანონის შესაბამისად. გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად შევუწყობ ხელს ამ კანონის ცხოვრებაში განხორციელებას, რა თქმა უნდა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ქალები ყველა პრობლემისადმი ძალიან მგრძნობიარენი ვართ, ამიტომ მე მინდა რომ დავგხმარო ქალებს.

ციცინო წუცუბიძე

დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, გვეკითხებიან მომხრე ვართ თუ არა თანასწორუფლებიანობის. განა ამას კითხვა უნდა? დღევანდელ დღეს გენდერულ თანასწორობას, დარწმუნებული ვარ, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ეთანხმება, კაცი იქნება ეს თუ ქალი.

ინტიმუტის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე მძიმე მრეწველობას ვემსახურებოდი პირნათლად, მამაკაცების გვერდით ვმუშაობდი და არანაკლები პასუხისმგებლობით ვასრულებდი დაკისრებულ მოვალეობას. იმ პერიოდშიც კი უკვირდათ, განა ქალებს შეუძლიათ მძიმე მრეწველობაში მუშაობაო, დიახაც შეგვეძლო და ვაკეთებდით. დღეს, რატომ გახდა სათუო და ასე გასარკვევი ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა? განა რომელ მამაკაცზე ნაკლებად ვახერხებთ, ვაკეთებთ და ბევრ აქტუალურ საკითხს ვაგვარებთ და ვუძღვებით, ეს იქნება ოჯახი, სანათესაო, სამეზობლო, სამსახური თუ პოლიტიკა.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქალებმა მამაკაცების გვერდზე დგომით გადაარჩინეს დღეს საქართველო.



www.ginsc.net

მერი ტატიშვილი

აუცილებელია დაცული იყოს გენდერული თანასწორობა. ქალებსაც არა-ნაკლები სურვილი და უნარი გვაქვს დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი. მე რომ ესეთი აზრის არ ვიყო, არც კანდიდატი არ ვიქნებოდი.

კონკრეტულ პასუხს ამასთან დაკავშირებით ვერ გეტყვით, რადგან ვთვლი, რომ ყველა კანონს აქვს თავისი დადგებითი და უარყოფითი მხარეები. ჩემი გამარჯვების შემთხვევაში ამ კანონს უფრო საფუძლიანად შევისწავლი და თუ ჩავთვლი, რომ ხელი უნდა შევუწყო, დიდი სიამოვნებით გავაკეთებ ამას.

ნინო ღავთაძე



მე ადვოკატი ვარ და მომხრე ვარ, რომ საქართველოში იყოს გენდერული თანასწორობა. ფორმალურად არის კიდეც, მაგრამ რეალურად, ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, კაცს მეტი უპირატესობა აქვს. კანონი გარკვეულწილად კი არეგულირებს თანასწორობას, მაგრამ არის ხარვეზები, რადგან მაინც არაა ქალი იმ დონეზე დაცული, როგორც მამაკაცი.

ყველანაირად შევუწყობ ხელს გენდერული თანასწორობის კანონის განხორციელებას. მე ჩემს კოლეგებთან ერთად მაქვს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხი განხილული და ჩაწერილი, რომლებიც კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისთვისაა მიმართული. ვფიქრობ, რომ ყველას თანასწორი უფლებები და ვალდებულებები უნდა ჰქონდეთ და არ აქვს მნიშვნელობა ის ქალია თუ კაცი. კანონი ყველასთვის კანონია.

www.ginsc.net

ნანა ციკოლიძე



გენდერული ბალანსი რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ჩემთვის. მივესალები, თუკი გატარდება კანონში ცვლილებები პარტიული დაფინანსების კუთხითაც, სადაც დაცული იქნება გენდერული ბალანსი. ეს ცვლილებები ძალიან შეუწყობს ხელს ქალების გააქტიურებას და მათ პოლიტიკაში მოსვლას.

მაქსიმალურად შევუწყობ ხელს გენდერული თანასწორობის კანონის იმპლემენტაციას. ყოველთვის ვცდილობ, რომ ფრაქციაში იყოს რაც შეიძლება მეტი ქალი, რადგან მნიშვნელოვანია ქალების ჩართვა სახელმწიფო საკითხებში. საკრებულოში ჩემი მოხვედრის შემთხვევაში კი, მე ვიქნები ქალების ინტერესების ღისტი.

ზიქრის ჩიხრაძე

საქართველოში, და განსაკუთრებით რეგიონებში, ვითარება არის ისეთი, რომ ქალებს არ ეწყობათ ხელი პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვერ ვიტყვი რომ ეს უშუალოდ ქალის ნიშნით არის გამოწვეული. უფრო მეტად ეს ვითარება ძალიან დიდმა სოციალურმა და პოლიტიკურმა პრობლემებმა გამოიწვია. ჩვენს პარტიას რეგიონებში ჰყავს ძალიან აქტიური ქალი თავმჯდომარეები, მაგრამ იმის გამო, რომ მათ ოჯახებზე განხორციელდა დიდი ზეწოლა, დიდი არჩევანის წინაშე დადგნენ: გაეგრძელებინათ პოლიტიკური საქმიანობა თუ გაეთვალისწინებინათ თავიანთი ოჯახების ელემენტარული საარსებო ინტერესები.



დარწმუნებული ვარ, საქართველოში როგორც კი იქნება პოლიტიკური ნიშნით თავისუფლება და ოდნავ მაინც გაუმჯობესდება სოციალური გარემო, ქალები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მე ცოტა სკეპტიკურად ვუდგები ხელოვნური მექანიზმებით ბალანსის დაცვას, თუმცადა, როგორც ჩანს, ესეც საჭიროა და ხელის წაშველება ურიგო არ იქნება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ქვეყანაში იყოს პოლიტიკური თავისუფლება, უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და, ვფიქრობ, ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივად იქნება ქალების მაღალი პოლიტიკური აქტიურობა.

ლია ხუნძარია

რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის საკითხი ჩემთვის. ქალიც და მამაკაციც თანასწორუფლებიანი უნდა იყოს.



გავეცნობი კანონს და, შესაბამისად, რაც საჭირო იქნება ყველაფერს გავაკეთებ.



თამარ ჭავასელი

გააჩნია ვის როგორ ესმის გენდერული თანასწორობა და თავისუფლება. რა თქმა უნდა ქალი – ქალი უნდა იყოს და კაცი – კაცი, მაგრამ თანასწორი უფლებები თავისთავად უნდა საზღვრავდეს თავის უფლებებს. თუ ქალს სურს მუშაობა – უნდა იმუშაოს, თუ არა – არა. ეს არ უნდა იყოს დამოკიდებული მის მეორე ნახევარსა თუ მის გვერდით მყოფ მამაკაცზე. ქალებს უნდა ჰქონდეთ ყოველთვის თავისუფალი არჩევანი.

გამარჯვების შემთხვევაში ძალიან მსურს ქალ-თა კლუბის შექმნა. ვფიქრობ ეს ძალიან დაქმარება ქალებს. მე მივაღწიე იმას, რომ უკვე ასაკში შესულს მამაკაცები აღმიქვამენ საქმიან პარტნიორად.. საუკეთესო წლები კი, იმის გამო რომ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას ცუდი შემოთავაზებები მქონდა, დავკარგე. მსგავსი უხამსი შემოთავაზებების გამო, ბევრი ახალგაზრდა ქალი იკეტება ან ტოვებს სამსახურს. ამიტომ მე მინდა, რომ ახალგაზრდა ქალებს ყველა-ნაირად შევუწყო ხელი.



თინათინ ხიდაშელი

სამწუხაროდ გენდერული თანასწორობის კანონს არ ვიცნობ, მაგრამ, საერთოდ, მე ვფიქრობ რომ გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში სერიოზული პრობლემები არ არის. უფრო სერიოზულია პრობლემა ოჯახში - ოჯახური ძალადობის თვალასაზრისით და ამიტომ მიმაჩნია, რომ ამაზე უფრო მეტი ყურადღებაა გასამახვილებელი, ვიდრე ქალთა პოლიტიკურ თანამონაწილეობაზე.

ჩემი აზრით პოლიტიკაში ხელოვნური ზომებით, როგორიცაა კვოტები, არ უნდა ხდებოდეს ქალის წინ წამოწევა. ჩვენს პარტიას 4 მაურიტარი კანდიდატი ჰყავს და აქედან სამი ქალია. ის ფაქტი, რომ პოლიტიკაში ცოტა ქალია - ქალების ბრალია და არა მამაკაცების. პოლიტიკური აქტივობა პირად ინიციატივებზეა დამოკიდებული და თუ მოინდომებს მოახერხებს კიდევ, იმის მიუხედავად, ქალია თუ კაცია. არა მგონია საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისას ვინმეს იმის გამო

შექმნოდეს პრობლემა, რომ ქალია. ასეთ პრობლემას მე არასოდეს წავ-
წყდომილვარ და არც ჩემი საჯარო ასპარეზზე მყოფი მეგობრებისაგან
მსმენია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქვეყანაში ამ თვალსაზრისით
ქალებს პრობლემები არ აქვთ.

www.ginsc.net

სოფიო ხორბუანი

მე ქალი ვარ და ჩემთვის, როგორც ქალისთვის ცნობილია, რა ძნელია თავის დამკვიდრება ისეთ „მამაკაცურ ქვეყანაში“, როგორიც საქართველოა, თუმცა მე ამის არ მეშინია, პირიქით, ერთგვარი აზარტიც კი არის. ეს ალბათ, ჩემი ბუნებიდან გა-
მომდინარეა - სიძნელები უფრო მიზიდავს. ჩვენს ქვეყანაში რომ გენდერული ბალანსი დარღვეულია, ეს ფაქტია, განსაკუთრებით სამთავრობო სტრუქ-
ტურებში, მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოში პარლამენტის 150 წევრიდან მხოლოდ 9 არის ქა-
ლი. მთავრობაში კი მინისტრი მხოლოდ ერთი ქა-
ლია, რაც შეეხება თბილისის საკრებულოს, 36-ი
წევრიდან 7 ქალია. ეს მაშინ, როცა მთელ რიგ საკითხებში ქალის ხედვა,
ინტუიცია, მზრუნველობის და თანადგომის განსაკუთრებული უნარი, ქვეყ-
ნის განვითარების პროცესს ეფექტურს გახდიდა. ვფიქრობ, სადაც არ
არის ქალის განსაკუთრებული დიპლომატიური ნიჭი, მისი მშვიდობისმოყ-
ვარე ბუნება. ქალი უპირველესად დედაა და იგი არასდროს იქნება ომის,
აგრესიის, სისხლისღვრის მომხრე.



საქართველოს კონსტიტუციით ქალისა და მამაკაცის უფლებები თანას-
წორად არის განსაზღვრული. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს
და უზრუნველყოს მათი თანასწორი უფლებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ,
სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ჩემი ცხოვრების წესი კანონის
მორჩილებაა. მე ვალდებულიც ვარ გენდერული ბალანსის დაცვას შევუწყო
ხელი. აუცილებელია მონიტორინგის უზრუნველყოფა და გენდერული თა-
ნასწორობის დარღვევებზე რეაგირება. როგორც ქალი, ვიტყვი, რომ ახალ
კანონს სოლიდარობას ვუცხადებ და ვფიქრობ, რომ აღნიშნული კანონი
აქამდეც უნდა მიეღოთ.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ
შემუშავდა სამოქალაქო საზოგადოებას,
გადაწყვეტილების მიმღებებსა და
საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის
თანამშრომლობით, კერძოდ, პარლამენტის
თავმჯდომარესთან არსებული გენდერული
თანასწორობის საკითხთა საკონსულტაციო
საბჭოს, გაეროს განვითარების პროგრამის
პროექტის „გენდერი და პოლტიკა“ და გაეროს
სხვა სააგენტოების ერთობლივი ძალისხმევის
შედეგად.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი ადგენს ქალისა და მამაკაცის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს.

მუხლი 2. კანონის მიზნები

ამ კანონის მიზნებია: უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

მუხლი 3. კანონი გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
- ა) გენდერი – სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი,

რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფე-
როში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულე-
ბებს ამა თუ იმ სქესზე;

- ბ) გენდერული თანასწორობა – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რო-
მელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფ-
ლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან
მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა
სფეროში;
- გ) დისკრიმინაცია – სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა
ან/და შეზღუდვა, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირი-
თადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლო-
ბების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით და
ხორციელდება პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის ფორმით;
- დ) პირდაპირი დისკრიმინაცია – სამართლებრივი აქტის, პროგრამის
თუ სხვა საჯარო პოლიტიკის საფუძველზე პირის სქესის ნიშნით
დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება (გარდა ამ პუნქტის „ვ“
ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);
- ე) ირიბი დისკრიმინაცია – სამართლებრივი აქტი, პროგრამა თუ სხვა
საჯარო პოლიტიკა, რომელიც პირდაპირ არ მიუთითებს დისკრიმი-
ნაციაზე, მაგრამ რომლის განხორციელება დაკავშირებულია დისკ-
რიმინაციული შედეგის დადგომასთან (გარდა ამ პუნქტის „ვ“ ქვე-
პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);
- ვ) განსაკუთრებული ღონისძიება – ღონისძიება, რომელიც მიზნად
ისახავს დისკრიმინაციული შედეგების გამოსწორებას და მიმართუ-
ლია პირთა წრისადმი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაც-
ვას გენდერული თავისებურებებიდან გამომდინარე;
- ზ) თანასწორი შესაძლებლობები – ქალისა და მამაკაცის უფლებებისა
და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და
პირობების სისტემა;
- თ) თანასწორი მოპყრობა – განათლების, შრომისა და სოციალური

პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადო-ებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

2. ამ კანონში სხვა ტერმინი, თუ არ არის სპეციალური მითითება, გა-მოიყენება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელო-ბით.

თავი II

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები

მუხლი 4. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები

1. სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამა-კაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

2. გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის გარე-შე უზრუნველყოლია:

- ქალისა და მამაკაცის თანასწორი ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლებები;
- ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელ-მისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე;
- მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობა;
- შვილებთან დაკავშირებული თანასწორი უფლებები და მოვალეო-ბით;
- ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლება-მოვალეობები – იყვნენ ბავშვთა მეურვეები, მზრუნველები, რწმუნებულები, მშვილებლე-ბი;

- ვ) ოფენსისა და საზოგადოებაში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა;
- ზ) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევა, თანამდებობრივი დაწინაურება, პროფესიული მომზადება/გადამზადება;
- თ) საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;
- ი) თანასწორი მოპყრობა ქალისა და მამაკაცის მუშაობის ხარისხის შეფასებისას;
- კ) თანაბარი სოციალური უზრუნველყოფა ქალისა და მამაკაცის ავადმყოფისას და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში;
- ლ) თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ქალისა და მამაკაცის ჯანმრთელობის დაცვისას;
- მ) ქალისა და მამაკაცისათვის თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისას.
3. საქართველოს კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის შესახებ ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

მუხლი 5. გენდერულ სფეროში სტატისტიკის წარმოება

გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები.

მუხლი 6. გენდერული თანასწორობა შრომითი ურთიერთობებისას

1. შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია:

- ა) პირის დისკრიმინაცია, დევნა ან/და იძულება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა;

- ბ) სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შეღახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის.
3. დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათთვის უპირატესობის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.
4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისათვის შრომის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რაც გამორიცხავს მათ საქმიანობას მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან გარემოში, აგრეთვე ღამის საათებში.

მუხლი 7.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის

სახელმწიფო გარანტიები განათლებისა და

მეცნიერების სფეროებში

1. ყველას აქვს საკუთარი შესაძლებლობის გათვალისწინებით პროფესიისა და სპეციალობის თავისიუფლად არჩევის უფლება. ამ თანასწორობის უზრუნველყოფა ხდება ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობით, დისკრიმინაციის გარეშე.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის მიერ ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაში თანასწორი პირობების შექმნას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების განხორციელებაში მონაწილეობის ჩათვლით.

მუხლი 8.

საინცორმაციო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყონ მათთან დაცული საჯარო ინფორმაციის მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირის სქესის ნიშნით განსხვავებულობის მიუხედავად.

მუხლი 9.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროებში უზრუნველყო-

ფილია მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის გარეშე.

2. დისკრიმინაციად არ განიხილება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის, ოჯახის დაგეგმვისა და ქალთა რეპროდუქციული უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული განსაკუთრებული ღონისძიებები, აგრეთვე ორსული ქალისა და დედობის დაცვისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა, გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით განხორციელებული სხვა ღონისძიებები.

მუხლი 10.

გენდერული თანასწორობის

უზრუნველყოფა საოჯახო ურთიერთობები

1. საოჯახო ურთიერთობებში, ქორწინებისა და განქორწინების დროს ქალი და მამაკაცი სარგებლობენ თანასწორი პირადი და ქონებრივი უფლებებით, მათ შორის, გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევის უფლებით, და ეკისრებათ თანასწორი მოვალეობები. საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით დისკრიმინაცია ან უპირატესობის მინიჭება.

2. ოჯახში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლება აქვთ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხები.

3. შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად, ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. გარანტირებული და უზრუნველყოფილია მეუღლეთა მიერ საქმიანობისა და შვილების აღზრდის თანასწორი შესაძლებლობები.

4. ოჯახში მეუღლეთა მიერ გაწეულ შრომასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები თანასწორია.

5. მეუღლეებს აქვთ ქონების ფლობის, შეძენის, მართვის, გამოყენებისა და განკარგვის თანასწორი უფლება.

6. მეუღლეებს თანასწორი უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ დასვენებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

მუხლი 11.

თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიები

1. ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე.

2. წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის უფლების რეალიზაციისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორივე სქესის პირთა თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.

3. ქალები და მამაკაცები შეიძლება არჩეულ იქნენ თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე.

თავი III

გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობა

მუხლი 12. გენდერული თანასწორობის

უზრუნველყოფა საქართველოს პარლამენტის მიერ

1. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს გენდერულ სფეროში საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, აღნიშნულთან მიმართებით პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლს.

2. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელ-საც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

3. გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია:

- ა) შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;
- ბ) განსახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად;
- გ) უზრუნველყოს საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით;
- დ) შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები გენდერული თანას-

წორობის მიღწევისათვის, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის;

- ე) შეიმუშაოს და დანერგოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;
- ვ) გამოითხოვოს და მიიღოს გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული წებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ზ) განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;
- თ) გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მოწვიოს შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან/და ექსპერტები;
- ი) განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

4. გენდერული თანასწორობის საბჭო წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ამზადებს ანგარიშებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე; გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო ურთიერთობებში.

5. გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მუშაობის წესი და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით.

**მუხლი 13. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა
აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.
2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.
3. სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უწევენ ორგანიზაციულ, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათ საქმიანობაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.

მუხლი 14. საქართველოს სახალხო დაცველის უფლებამოსილებები გენდერული თანასწორობის დაცვასთან დაპავშირებით

1. საქართველოს სახალხო დამცველი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის დაცვის მონიტორინგს და რეაგირებას ახდენს გენდერული თანასწორობის დარღვევაზე.
2. საქართველოს სახალხო დამცველი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს მისთვის „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

თავი IV

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 15. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირდებით
გასატარებელი ღონისძიება

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში განახორციელონ თავიანთი საქმიანობის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების ანალიზი.

მუხლი 16. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი
თბილისი, 2010 წლის 26 მარტი.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ელენე რუსეცკაია

თამარ ჭავაძე

ეკატერინე სხილაძე

თამარ გოგოლაძე

განსაკუთრებულ მაღლობას ვუხდით ელენე მიაჩაპს პროექტის
განხორციელებაში გაწეული დახმარებისა და მახარდაჭერისათვის.